ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6812469

ნომერი: AR11005677

თარიღი : 11.12.2023

გაცემის თარიღი : 19.12.2023

გაცნობის თარიღი : 19.12.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიან მაისაშვილი პ/ნ 01024006202
- ვაჟა-ფშაველას 25ა

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ლევან ბერიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024022503

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2976.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 959.14
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3836.56
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2877.42
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 959.14

- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.:
· მოთხოვნის ტექსტში დაფიქსირდეს სადემონტაჟო ნაგებობის ნუმერაცია საჯარო რეესტრის მონაცემების შესაბამისად
2. სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.
· ველები შეივსოს აზომვითი ნახაზების შესაბამისად
3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. :
· წარმოადგინეთ ტერიტორიის ამსახველი განახლებული ფოტოსურათები თარიღების მითითებით.
4. დამკვეთის ინფორმაციაში შეივსოს ორგანიზაციის ველებიც. წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია და არ არის დამოწმებული. წარმოდგენილი იქნას განახლებული, სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა. ასევე, წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული მყიდველის შპს "მარმაქს ჯორჯიას" მიერ გაცმული, დამოწმებული თანხმობა (ან ხელშეკრულება, თუ ის ითვალისწინებს შესაბამის თანხმობას).
5. ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე შესვლა ხდება N01.11.12.019.127 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.